

# ახალი თაობა



akhali.taoba.ge

„**დენის** <sup>83.4</sup>  
**ტარიფის**  
**გაზრდა**  
**ხელისუფლების**  
**ინტერესებშია**“



**28 დეკემბრიდან**

**ჩემი**  
**შემეცნებითი**  
**ახალი წელი**

**ფასი**  
**გაზეთთან**  
**ერთად**  
**5.50 ლარი**




სუთშაბათი, 28 დეკემბერი, 2017

№308 (7543)

ფასი: 50 თეთრი

## სპეცრაზმი მარალიკაშვილის ოჯახში უცდომოდ შევიდა?



თეიმურაზ ქავთარაშვილი:  
„თუ თქვენ არ შექმნით ტერორისტებს, აქ ტერორისტები არ იქნებიან“



**83.3**

### სოფო კილაძე:

„თუ ეს პიროვნება მართლაც აპირებდა აფეთქებას, მაშინ სამართალდამცავების ქმედება <sup>83.2</sup> მართებული იყო“



**მეჩა ხანგოშვილი:**  
„მარალიკაშვილის საქმეზე სამართლიან გამომიყვანს ვითხოვთ“ <sup>83.2</sup>



**გოგი წულაია:**  
„ქუთაისის მოთმინება აივსო. სოციალურ საკითხებზე <sup>83.4</sup> ძალიან მაგრად ავყვირდებით“

„ჩვენი კეთილშეიშვების ხვნა გაგრძელდება“

### სამართალი



**ირაკლი ჩხვირკია:** <sup>83.7</sup>  
„არ არსებობს მტკიცებულება, რომ მე დანაშაული ჩავიდინე“



„ჭიბან“  
მფლობელი:  
„ბიზნესი ხელშეწყობდა ბააკობრას“

სამართალდამცავებმა ქურდობის ფაქტებზე 27-ჯერ მხილავული არასრულწლოვანი **საია შსს-ს დარღვევაში აღდნაშაულაბს**

### ეკონომიკა <sup>83.6</sup>

**დავით ებრაელია:**  
ახალი ტარიფები კანონმდებლობის არ არის



თბილისში მომხმარებელს ელექტროენერჯის გადასახადი თვეში 2,4-დან 5 ლარამდე გაეზრდა



თბილისში ყავეს ქარხნის გახსნა ისევ გადაიდო



**8** ამერიკელი ექსპერტები თითო სხლს მები აქტიურობისაკენ მოუწოდებენ

**5** მამუკა ტუსკაძე: „ბენდერების ჩაშლის გამო მიმდინარე წელს ჯარისკაცები ფხსსაშლის გარეშე დარჩნენ“

**3** დეკანოზი დავით ისაკაძე პარლამენტს მოუწოდებს, ნაკომპლიზიკაზე მსჯელობაში სასულიარო პირების ჩართოს



# საქსრავში მარალიკაშილის ოჯახში უსაფრთხო შავიდა?

## თეიმურაზ ქავთარაშვილი: „თუ თქვენ არ შექმნით ტერორისტებს, აქ ტერორისტები არ იქნებიან“

პანკისის ხეობაში სიტუაცია უკიდურესად არის დაბაზული. ასეთი მდგომარეობა 2012 წელს, ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგაც არ ყოფილა.

სხვათა შორის, „ქართულ ოცნებას“ ეს საქმეც არა აქვს ბოლომდე გამოძიებული.

ახლა კი უკვე ახალი საქმეა გამოსაძიებელი. 26 დეკემბერს პანკისში ჩატარებულმა სპეცოპერაციამ ბევრი კითხვა გააჩინა.

სპეცოპერაციისას დაჭრილი 19 წლის თემირლან მანალიკაშვილის მდგომარეობა ისევ მძიმეა. დაჭრილის მამა მალხაზ მანალიკაშვილი ამბობს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს.

### შორენა მარალიკაშვილი

– მითხრეს, რომ წინააღმდეგობა გაგვინა და ამიტომ ვერსოლოთო. შუბლში გამავალი ტყვია აქვს, პირდაპირ „სტენკანზე“ არის ნასროლი, საერთოდ, ბავშვი ლოგინიდან არ არის წამოშორებული, ვერცეცხროვს. ამ ინციდენტის გარშემო რაც ხდება, ამ სიმართლის მე სტრასბურგამდე ჩავალ... ამას დავამტკიცებ და სხვა მიმართულებითაც ... ნუ გგონიათ, საქართველოში მაცხოვრებელ ხალხს არ ვგულისხმობ, ზემდგომებს, მთავრობას ხელისუფლებას, რომ ეს შეგრჩებათ, – განაცხადა მანალიკაშვილი პანკისის ხეობაში გამართულ აქციაზე.

გუშინ, 27 დეკემბერს, პანკისში ორი აქცია გაიმართა. ჯერ უსუცესებმა გაავრცელეს საგანგებო მდგომარეობა, ხოლო შემდეგ მოსახლეობამ დააფიქსირა თავისი აზრი.

თემირლან მანალიკაშვილიდან დაკავშირებით საავტორო „თაიმერმა“ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. გამოცემის წყაროს ინფორმაციით, სპეცრაზმი მანალიკაშვილების ოჯახში შეცდომით შევიდა. – როგორც ხეობიდან მაქვს ინფორმაცია, ინფორმაციამა დასაჭერი ხალხის საცხოვრებელი სახლების შესახებ შეცდომით მიანოდა ინფორმაცია. ჰოდა, სპეცრაზმი შეცდომით იმ სახელში შევიდა, სადაც 19 წლის თემირლან მანალიკაშვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ისიც გავიგე, რომ ერთ-ერთ სპეცრაზმელს შემთხვევით გაუგარდა იარაღი, სხვებმა იფიქრეს, რომ ცეცხლის გახსნის ბრძანება ჰქონდათ და სროლა ამიტომ დაიწყეს, – აცხადებს „თაიმერის“ წყარო.

მისივე ვერსიით, სპეცრაზმელებს მანალიკაშვილი ერთ-ერთ დაკავებულში შეეშალათ.

ამ ვერსიას სამართალდამცვები არ განიხილავენ, თუმცა მანალიკაშვილის დაჭრის ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

კერძოდ, მთავარმა პროკურატურამ სუს-ის წევრების მიერ პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

საქმის შესწავლა სსკ-ის 333-ე მუხლის შესაბამის ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

– საქართველოს პროკურატურამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას, მოქალაქე თემირლან მანალიკაშვილის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით დაიწყო და მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის შესაბამის ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მხრიდან



სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. ამჟამად ტარდება ყველა გადაუდებელი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება და შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას, – განაცხადა პროკურატურაში.

გამოძიებას ელოდება პანკისის ხეობის უსუცესთა საბჭო. საგანგებო განცხადებაში უსუცესები ხელისუფლებისგან საქმის ობიექტურად გამოძიებას ითხოვენ.

– ჩვენ, პანკისის ხეობის მცხოვრებლები, დიდი ყურადღებით ვაკვირდებით უკანასკნელ პერიოდში პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს, რაც დაკავშირებულია ძალადობის მიერ აქ ჩატარებულ სპეცოპერაციასთან. შექმნილ სიტუაციაში ჩვენი აზრი ერთსულოვნაა იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივა საკუთარ ქვეყანაში წესრიგის დამყარება და ამ თვალსაზრისით გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგი არავინ არ არის.

მაგრამ ჩვენი უკმაყოფილება განპირობებულია იმ ფორმებისა და მეთოდების წინააღმდეგ, რომელთა გამოყენების შედეგად, ერთი ახალაზრდა თემირლან მანალიკაშვილი უშემძლებლად დაიღუპა და მისი გადარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ჩვენ ერთსულოვნად ვართ იმასთან დაკავშირებული.



მალხაზ მანალიკაშვილი

ბით, რომ გამოძიება ობიექტურად უნდა წარიმართოს და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ უდანაშაულო ადამიანები არ მოხვდნენ განსასჯელის სკამზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული ხელისუფლება გაითვალისწინებს პანკისის ხეობის საზოგადოების აზრს და სწორ მიმართულებას მისცემს აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებას, – ნათქვამია განცხადებაში.

ეს განცხადება უსუცესებმა საქართველოს ხელისუფლებას გაუგზავნეს.

26 დეკემბერს ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა მოსახლეობამც.

პანკისელებმა დაკავების ფორმები დაგმეს და პანკისის ირგვლივ განვითარებული მოვლენები გააპროტესტეს.

ამ აქციაში ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, რაც პანკისის ხეობისთვის ძალიან დიდი ციფრია.

აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, თეიმურაზ ქავთარაშვილმა, რომელიც ამავე დროს რელიგიური ლიდერიცაა, განაცხადა, რომ თუ პანკისში ტერორისტებს ჩვენ თვითონ არ შევქმნით, ისინი თავისთავად არ შეიქმნებიან.

– ამ აქციით ჩვენ ცუდს არავის ვუკეთებთ. ეს ყველაზე მშვიდობიანი ადგილია, მაგრამ ზოგიერთებს სურთ, რომ ჩვენ ვიყოთ საზიანო, ტერორისტები, ექსტრემისტები და ბევრი ცდილობს, რომ ეს იარაღი მოგვაკეროს. თუ გინდათ, რომ პანკისში ტერორის-

ტები არ იყვნენ, ნუ შექმნით ტერორისტებს. თუ თქვენ არ შექმნით ტერორისტებს, აქ ტერორისტები არ იქნებიან, – განაცხადა ქავთარაშვილმა.

ყველაზე ემოციური განცხადება თემირლან მანალიკაშვილის ბებიას ჰქონდა. შვილიშვილის მდგომარეობით შენუხებულმა ქალმა დახმარებისთვის ჩვენთვის და ინფორმაციის მეთაურებსაც კი მიმართა.

– საიდან ავტომატი, იარაღი, მძინარე ბავშვს, ვინ მისცა ამის უფლება, რომ პირდაპირ ესროლა... განა მართლა დაჩაგრულები ვართ. ჩვენ მივმართავთ ჩვენ ინგუშ პრეზიდენტს, მოგვხელონ, მოგვაქციონ ყურადღება, მართალია, საქართველოს მინა წყალზე ვართ, – აცხადებს მანალიკაშვილის ბებია.


ამ ამბავზე რამდენიმე დღის წინ ჩვენთვის მეთაურმა რამზან კადიროვმა სახიფათო განცხადება გააკეთა. 24 დეკემბერს მან რუსულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ სირიაში ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლა მართალია დამთავრდა, მაგრამ მისი ლიდერები სხვადასხვა ქვეყნებში გადავიდნენ. კადიროვი ამტკიცებს, რომ ისინი რუსეთზე თავდასხმას აპირებენ. ჩვენთვის მეთაური ამბობს, რომ ტერორისტები საქართველოს ტერიტორიაზე არიან.

## დაკანონი დავით ისაკაძე პარლამენტს მოუწოდებს, ნარკოპოლიტიკაზე მსჯელობაში სასულიერო პირების ჩართოს

დაკანონი დავით ისაკაძე პარლამენტს მოუწოდებს, ნუ გახდება ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული დიდი პასუხისმგებლობის საკითხის ერთობიროვნულად გადაწყვეტის ორგანო და მსჯელობაში სასულიერო პირებიც ჩართოს.

როგორც ისაკაძემ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე ფართო მსჯელობის გამართვის პოზიცია პატრიარქს ეკუთვნის.

– ჩვენ სასულიერო პირები ვართ, თითოეული ნარკომომხმარებელი არის ჩვენი პოტენციური სულიერი შვილი, კატეგორიული წინააღმდეგი ვართ მათი დაჭერის. ამ ადამიანებს სჭირდებათ დახმარება, მაგრამ საჭიროა საუბარი ოდენობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, არანაირი ოფენზა არ შეიძლება იყოს მისაღები, ჩვენ ხელი უნდა შევუწყლოთ ადამიანს, ამ სენისგან გაათავისუფლდეს. მე მინდა პატრიარქის პოზიცია მოგახსენოთ, რომ უნდა შედგეს მსჯელობა. ნუ გახდება ასეთი დიდი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის ორგანო, ჩვენც მოგვეცით განხილვის საშუალება, – მიმართა ისაკაძემ დეპუტატებს.



## აკაკი ზოიძე: „ღმერთთან მისვლით და ღმერთით ჯანსაღი ცხოვრებისკენ ნასვლით და დაშინებით“

– ღმერთთან მისვლით და დაშინებით ჯანსაღი ცხოვრებისკენ ნასვლით არ გაამართლია, – ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის საკითხზე მსჯელობა სპაუზის ფონზე მიმდინარეობდა. სხდომას არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. დეპუტატი ნუკრი ქანთარია დაინტერესდა, თუ არა საპატიმრო სასჯელის, რისი უნდა შეეშინდეს ნარკომომხმარებელს.

– ადამიანის დაშინება არ მოიტანს სასურველ შედეგს. ვერც ფაშისტურმა რეჟიმმა, ვერც სხვა ამას ვერ მიაღწია. ღმერთთან მისვლით და დაშინებით ჯანსაღი ცხოვრებისკენ ნასვლით არ გაამართლია არც ისტორიულად, არც თანამედროვეობაში, არც წარსულში და არც მომავალში გაამართლებს. ადამიანის დარწმუნებით უნდა შევქლოთ, რომ ჯანსაღი ცხოვრების გზა აირჩიოს და ეს პრინციპი არის ჩადებული ჩვენს ინიციატივაში, – განაცხადა ზოიძემ.



## ღიმიტრი ხუნდაძე: „ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარება რისკის შემცირების მიზნით“

– ნარკოტიკული საშუალების ლიბერალიზაციის შესახებ კანონპროექტის მონაწილედ ვე 7 დეპუტატი ითხოვს, რომ საკითხი ჯერ უმრავლესობის ფორმატში განიხილოს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ღიმიტრი ხუნდაძემ საკითხის კომენტარებისას განაცხადა.

ხუნდაძის თქმით, კომიტეტის წევრების ნაწილი კანონპროექტის აღნიშნული ფორმით მიღების წინააღმდეგაა. – ჯანდაცვის კომიტეტის უმრავლესობის წევრები ვენაწილად ვეცდებით დეკრიმინალიზაციის ამ ფორმით შემოტანას, რადგან ჩვენ ვხედავთ რეალურ რისკებს იმისა, რომ ქვეყანაში გაიზარდება ნარკოტიკების მოხმარებელთა რიცხვი. სამართლებრივი რეგულაციები უნდა იყოს იმგვარი, რომ ეს რისკები არ გაიზარდოს. ჩვენ ვეპყრობით,

რომ არ დავიჭიროთ, უნდა იყოს შესაბამისი სერვისები, სამართლებრივი რეგულაციები, რომ არ მოხდეს ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებელთა რიცხვის აფეთქება. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის სხდომა მაინც შედგა, ის გაიმართა ოპოზიციის წევრების მონაწილეობით, თუმცა, ვფიქრობ, რომ უნდა შედგეს შეთანხმება უმრავლესობის ფორმატში, რომ მოხდეს რისკების მინიმალიზება. ეს კანონპროექტი ეხება არა მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარებლებს, არამედ საზოგადოების იმ უდიდეს ნაწილს, რომელიც არ მოიხმარს ნარკოტიკებს. მე და იმ გუნდის წევრები, რომლებიც ვენაწილად ვეცდებით ამ კანონპროექტს, ვითხოვთ ამ საკითხის უმრავლესობის ფორმატში განხილვას, – განაცხადა ღიმიტრი ხუნდაძემ.

კანონპროექტის წინააღმდეგი არიან დეპუტატები ღიმიტრი ხუნდაძე, კობა ნარჩემაშვილი, კობა ნაკაიძე, ლევან ბუფანიძე, ღიმიტრი მხეიძე, მირიან ნიკლაური და ილია ნაკაშიძე.







# დავით ებრაელიძე: „ახალი ტარიფები კანონმდებლის არ არის“



იურისტი დავით ებრაელიძე სემეკის მიერ ტარიფების ზრდის გადაწყვეტილების კანონთან წინააღმდეგობაზე მიუთითებს.

სემეკის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ტარიფის მატება განპირობებულია მომავალში დარგში განსახორციელებელი ინვესტიციებით. ესე იგი, უკვე განუვლი ხარჯის ასახვა კი არ მოხდა ტარიფში, არამედ მომავალში განსახორციელებელის წინასწარ ასახვას აქვს აღ-

გილი. მაგრამ კანონი ამის უფლებას არ იძლევა. ტარიფი დგინდება „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და 43-ე მუხლების შესაბამისად. ამ მუხლებში კი წერია, რომ კანონში მხოლოდ განუვლი ხარჯი შეიძლება აისახოს და არა მომავალში გასანევი. შესაბამისად, გამოდის, რომ ახალი ტარიფები კანონშესაბამისი არ არის, ეს რაც შორიდან, ერთი შეხედვით ჩანს, - წერს ებრაელიძე.

# თბილისში ყაზის ქარხნის გახსნა ისევ გადაიდო

ყაზის მსოფლიო ბრენდებთან თანამშრომლობას, გურგენიძე განმარტავს, რომ ბრენდის სახელსა და სხვა დეტალებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

მისი განმარტებით, კომპანია „კავსულო“ ყაზისთვის შესაფერის მასალას საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან შემოიტანს. რაც შეეხება ნედლეულს, ყაზა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოვა, მათ შორის, აფრიკიდან, სამხრეთ ამერიკიდან, ცენტრალური ამერიკიდან და ასე შემდეგ.



გურგენიძის განცხადებით, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 20 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

შეგახსენებთ, თბილისში, ყაზეთის გზატკეცილზე, „ავტოგაზის“ მიმდებარედ ყაზის გადამამუშავებელი საწარმოს აშენების შესახებ ინფორმაცია 2016 წლის აგვისტოში დაანონსდა. მაშინ ეკონომიკის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად შპს „კავსულო“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ორი ერთეული 12.064 კვ.მ და 4.928 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები 412.000 ლარად საინვესტიციო პირობებით გადასცა.

აღნიშნულ ობიექტებზე შპს „კავსულო“ ყაზის გადამამუშავებელ საწარმოს მშენებლობასთან ერთად, საგამოფენო დარბაზების მოწყობას, აღჭურვას და ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა. პროექტის განსახორციელებლად კომპანია არანაკლებ 11.277.000 ლარს დახარჯავდა და ჯამში 30 ადამიანს დაასაქმებდა.

ყაზის გადამამუშავებელი საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნებოდა აღჭურვილი და წლის განმავლობაში საწარმოებდა 500 ტონა მწვანე ყაზის ნედლეულს შეისყიდოდა, ხოლო წარმოების წლიური მოცულობა დაახლოებით, 1.200 ტონა იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ შპს „კავსულო“ გამოშვებული პროდუქციის 50%-ის ექსპორტზე გატანას გეგმავს. კომპანიის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ქარხანა ქართულ-უცხოური ინვესტიციით შენდება.

# თბილისში მომხმარებელს ელექტროენერჯის გადასახადი თვეში 2,4-დან 5 ლარამდე გაეზრდება

2018 წლის 1-ელი იანვრიდან დედაქალაქში ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი 1,5 თეთრით იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისში საშუალოდ მომხმარებელს ელექტროენერჯის გადასახადი თვეში 2,4-დან 5 ლარამდე გაეზრდება. სემეკის გადაწყვეტილებით, „თელასის მომხმარებლებისთვის, რომლებიც 101 კილოვატ საათის ჩათვლით ელექტროენერჯის მოიხმარენ, დღე-ს ჩათვლით 12,980 თეთრიდან 15,635 თეთრამდე გაიზრდება ტარიფი. აბონენტებისთვის, რომლებიც 101-დან 301 კილოვატ საათის ჩათვლით ელექტროენერჯის მოიხმარენ - 16,992 თეთრიდან გადასახადი 18,555 თეთრამდე იზრდება; ხოლო აბონენტებს, რომლებიც 301 კილოვატ საათიდან ზემოთ ელექტროენერჯის მოიხმარენ - 21,476 თეთრიდან 23,039 თეთრამდე.



საშუალოდ თბილისში ოჯახები ძირითადად მოიხმარენ 101-დან 301 კილოვატ საათამდე ელექტროენერჯის. მაგალითად, დღეს თუ 150 კილოვატ საათამდე ელექტროენერჯის მომხმარებლები თვის განმავლობაში იხდიან 25,4 ლარს, 1-ელი იანვრიდან 27,8 ლარს გადაიხდიან. რაც შეეხება 300 კილოვატ საათამდე ელექტროენერჯის მომხმარებელს, თუ ისინი დღეს 50,9 ლარს იხდიან, 1-ელი იანვრიდან 55,6 ლარს გადახდა მოუწევთ.

# „ჩვენ არ გყავს ნოვატორი ბიზნესმენები, ძირითადად ვივაოკაბთ მსოფლიოში არსებული ბიზნესების მავალითა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე იმისათვის, რომ შევიწინარწინოთ ტურისტების მალალი ნაკადი. შიდა ტურიზმში კი უფრო რთული სიტუაცია გვაქვს. მთელ მსოფლიოში შიდა ტურიზმი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, საქართველოში კი შიდა-ტურიზმს ძირითადად გამოსაძინებლად იყენებენ. სამწუხაროდ, მოგზაურობის კულტურა ჯერ კიდევ არ გვაქვს, არადა შიდა ტურიზმის განვითარება უმნიშვნელოვანესი საკითხია. როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმზე, აუცილებლად გამოვყოფდი ერთ საკითხს, მაგალითად, განა ცუდი იქნება, რომ დადიოდე გემი ურეკიდან-ბათუმამდე, ქობულეთის გალით - ზღვა გაცოცხლდება. როდესაც ვსაუბრობთ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ერთ-ერთი თემა ისიც უნდა იყოს, რომ ზღვაში ტრანსპორტი ამოძრავდეს. ფოთი, ურეკი, ქობულეთი, ბათუმი, ანაკლია - ჩვენ საკმაოდ ბევრი საზღვაო ქალაქი გვაქვს. ქობულეთში რომ გაკეთდეს მცირე პორტი, მაშინ კერძო ბიზნესმენებიც გამოჩნდებიან, რომლებიც გემებს გააჩერებენ ქალაქში, შესაბამისად ახალი ბიზნესები გაჩნდება. ეს თემა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი. მესმის, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელია, თუმცა საზღვაო ტრანსპორტიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, მსგავსი მცირე პორტების გაკეთებას, საგზაო და, დასჭირდება 3-4 მილიონი, რაც არცთუ ისე დიდი თანხაა. შედეგად კი გზები განვითარდება, საზღვაო მოძრაობა აღდგება, თვე-ზაოზა დაინწყება, სიცოცხლე გაჩნდება ზღვაზე, ტურიზმის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება და ახალი, დამატებითი შემოსავალი გაუჩნდება ხალხს. ამიტომ საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირება შავი ზღვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა უნდა იყოს.

როგორც ცნობილია გეგმავდით „კოკა-კოლას“ აფხაზეთში შეტანას. რატომ არ შედგა ეს პროექტი და თქვენი აზრით, როგორ უნდა აღდგეს და გამყარდეს საქმიანი ურთიერთობები აფხაზურ მხარესთან? - აფხაზეთის თემა ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, ძალიან მინდა, რომ აღდგეს აფხაზ ბიზნესმენებთან საქმიანი ურთიერთობა, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე ეს ვერ ხერხდება. რაც შეეხება „კოკა კოლას“, „კოკა კოლას“ გააჩნია საკუთარი გეოგრაფიული რუკა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთში პროდუქცია უნდა შედიოდა საქართველოდან. თუმცა, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ ხერხდება. არადა, დამიჯერეთ, თუ ჩვენთან დაამყარებენ ურთიერთობას, ეს აფხაზური მხარისთვის უფრო სწორი და მოგებებანიც იქნება.

რა ხდება „მაკდონალდსში“, როგორი იყო მიმდინარე წელი და რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ? - „მაკდონალდსის“ 14 რესტორანი გვექნება მომავალ წელს და დაახლოებით, დღიურად 25 ათასი ცაცია ჩვენი რესტორნების სტუმარი. ბათუმში აშენდება მეორე რესტორანი, თბილისში გარემოტდება და განახლდება საბურთალოს რაიონში „მაკდონალდსი“. ქალაქის მერიასთან დაგინდებით აქტიურ თანამშრომლობას მომავალი წლიდან, რადგან ნახალკვაში და კიდევ რამდენიმე უბანში გვსურს ახალი „მაკდონალდსების“ გახსნა.

ასევე, ყოველ მიზეზ გარეშე, აშენდება პურის ქარხანა, საიდანაც საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი სრულად მომარაგდება პურით. რაც გრანდიოზული საექსპორტო გეგმაა.

როგორც ცნობილია, გეგმავთ „კოკა-კოლას“ ახალი ქარხნის აშენებას და არსებული შენობისთვის ინვესტიციის მონახვას, იქნებ უფრო კონკრეტულად გეგმობთ თქვენი გეგმების შესახებ? - ნატახტარში აუცილებლად გაკეთდება ულტრათანამედროვე „კოკა-კოლას“ ახალი ქარხანა. ვინაიდან, გასულ წელთან შედარებით, 25,5%-ით გაიზარდა ჩვენი ბიზნესი. მომავალ წელს კიდევ ველოდებით ზრდას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოში წამოვიდა თაობა, რომელიც ევროპულ და ამერიკულ ღირებულებებს პატივს სცემს და თან ისე, რომ არ იგინეებს ტრადიციებს. ფრანგული კომპანია პროექტის დამუშავების პროცესში

როგორც ცნობილია, გეგმავთ „კოკა-კოლას“ ახალი ქარხნის აშენებას და არსებული შენობისთვის ინვესტიციის მონახვას, იქნებ უფრო კონკრეტულად გეგმობთ თქვენი გეგმების შესახებ? - ნატახტარში აუცილებლად გაკეთდება ულტრათანამედროვე „კოკა-კოლას“ ახალი ქარხანა. ვინაიდან, გასულ წელთან შედარებით, 25,5%-ით გაიზარდა ჩვენი ბიზნესი. მომავალ წელს კიდევ ველოდებით ზრდას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოში წამოვიდა თაობა, რომელიც ევროპულ და ამერიკულ ღირებულებებს პატივს სცემს და თან ისე, რომ არ იგინეებს ტრადიციებს. ფრანგული კომპანია პროექტის დამუშავების პროცესში

# აქსისი საახალწლო ფასდაკლებას ასხალებს

აქსისი მომხმარებლებს ახალ წელს ახალი პროექტით ულოცავს და საახალწლო აქციას სთავაზობს. 2018 წლის იანვრის ბოლომდე ახალ კომპლექსში „აქსისპალასი საირმეზე“ ბინის შეძენა 15%-იანი ფასდაკლებით არის შესაძლებელი. „აქსისპალასი საირმეზე“ აქსისის ახალი პროექტია, რომელიც საირმის ქუჩა, N51-ში მდებარეობს. აქსისის ხარისხი და არქიტექტურა, განვითარებული ინფრასტრუქტურა, შენობის მდებარეობა, საიდანაც 360 გრადუსიანი ხედი იშლება, წითელ ბაღთან სიახლოვე, საირმის გორის სუფთა ჰაერი, საბურთალოს უბნისთვის გამორჩეულ სივრცეს ქმნის და პროექტს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. საახალწლო შეთავაზება ვრცელდება სხვა მიმდინარე პროექტებზეც. კერძოდ, 5-10%-იანი ფასდაკლებით ბინების შეძენა შესაძლებელია შემდეგ კომპლექსებში: „ჭავჭავაძის 49“, „აქსისი იპოდრომთან“, „წინამძღვრიშვილის 125“, „აქსისი დიდუბეში“.













# ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
<http://www.opentext.ge/akhalitaoba>

28  
დეკემბრისთვის



აშშ  
დოლარი  
— 2.5751



ინგლისური გირვანკა  
სტერლინგი  
— 3.4411



ევრო  
— 3.0536



100 რუსული  
რუბლი  
— 4.4602

ქართული ლარის მიხედვით  
უცხოური ვალუტების  
განვლითი კურსი



ამინდის ჰოგნოზი  
28 დეკემბრისთვის




## 28 დეკემბრიდან ჩემი შამპანური ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი

## 15 დეკემბრიდან რჩეული ქართული ზღაპრები



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## იუმორი

ფსიქიატრიულში ავადმყოფები ტელევიზორში საინფორმაციო პროგრამას უყურებენ. ამ დროს ერთ-ერთი ხელს მუხლებზე დაირტყამს და წამოიძახებს:

— კიდევ კარგი, ფსიქიატრიულში ვარ.  
ერთი ექთანი მეორეს გადაულაპარაკებს:  
— ეს მგონი, გამოჯანმრთელდა.

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— რამდენიმე წლის წინ, ჩემი ცოლი ძალიან ეჭვიანობდა და ჩემ ტელეფონში ყველა მოსულ სმს-ს კითხულობდა.  
— ჩემი ახლაც მასე იქცევა.

— რას ბოდილობ? 20 წელია ცოლ-ქმარი ხართ, ქალებში შენ არ დადიხარ და რა უნდა ნახოს?  
— „თქვენ ანგარიშზე ჩაირიცხა ხელფასი“.

ფერმერმა ხარებისთვის აბები მიიღო, რათა ნახირის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს. ის და მისი ფერმის თანამშრომლები აბებს ათვალიერებენ. ერთი ამბობს:

— რამხელეებია.  
— როგორი ყვითლებია, — ამბობს მეორე.  
— და როგორი მწარეა, — ამბობს ფერმერი.

დილით სამსახურში მოსულ თანამშრომელს დირექტორი ეკითხება:

— თვალები ჩანთილებული რატომ გაქვს, მთელი ღამე სვამდი?  
— არა, სამსახური მენატრებოდა და ვტიროდი.

კლიენტი ბარმენს ეკითხება:

— ჭიქას რატომ ბოლომდე არ მივსვამ?  
— მოვხუცდი და ცუდად ვხედავ.  
— მაშინ რატომ არ გელვრება?  
— ბრმა ხომ არ ვარ.

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ახლახან გადაცემას ვუყურე ხელოვნურ გონებაზე. მაღლე შეუძლებელი იქნება თუ ვინ დგას შენ წინ, ადამიანი თუ რობოტი.

— მაგის გამოცნობას რა უნდა, ეგ ხომ ელემენტარულია.  
— ეგ როგორ?  
— ტვინს თუ არ შეგიჭამს, ე.ი. რობოტია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მეთევზემ უზარმაზარი ზვიგენი მდინარეში დაიჭირა

ავსტრალიელმა მეთევზემ მდინარე მანინგში უზარმაზარი მაკედ მყოფი ზვიგენი დაიჭირა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



38 წლის ადამ მადალენამ, რომელიც შტატ სამხრეთ უელსიდანაა, აღიარა, რომ ადრეც დაუჭერია ზვიგენი, მაგრამ ახლანდელი ნადავლი ყველაზე დიდია მის ცხოვრებაში.

— ჩვენ სხვადასხვა სატყუარები ჩავაგდეთ მდინარეში, თუმცა მხოლოდ პატარა თევზების დაჭერას ვაპირებდით, რომლებსაც ისევ გავუშვებდით, — განაცხადა მადალენამ.

მეთევზემ და მისმა მეგობარმა თევზაობა დილის ხუთის ნახევარზე დაიწყეს. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ანკესი შეტოკდა. ტივტივას მოძრაობიდან გამომდინარე თავიდან მათ ეგონათ, რომ ანკესზე პატარა თევზი წამოეგო და მისი ამოყვანა სცადეს, მაგრამ როდესაც მიხვდნენ, თუ რამდენად დიდ თევზთან ჰქონდათ საქმე, ისინი აზარტმა შეიპყრო.

— ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და მივხვდით, რომ უზარალოდ ვალდებულები ვიყავით, ის წყლიდან ამოგვეყვანა, — აღნიშნა მადალენამ.

ისინი 45 წუთის განმავლობაში ცდილობდნენ ზვიგენის ამოყვანას, შემდეგ მტაცებელ თევზს ხელები ჩაავლეს და პირიდან ნემსკავი ამოაცალეს. მადალენას თქმით, ზვიგენი შესანიშნავად გამოიყურებოდა და აშკარად მაკედ იყო. მეთევზეებმა ზვიგენთან რამდენიმე სამახსოვრო სურათი გადაიღეს, ნიშანი დაადეს და ღრმა წყალში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

LB **ლიბერთი ბანკი**  
LIBERTY BANK

# ავტო ლომბარდი

ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით



მაქსიმალური თანხა:

**40,000 ლ**

გაიგეთ მეტი:

[LibertyBank.ge/AutoLombard](http://LibertyBank.ge/AutoLombard)

☎ 032 255 55 00

